

შპს „შვიდი ვაინ“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "შვიდი ვაინ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	157994	535975	1671484	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1531490	1123491	1273758	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	460499	12062	37860	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2673749	2238744	2174868	3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2673749	2238744	2174868	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2783	637	91839	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები		176	880	
ძირითადი საშუალებები	222619	141140	31737	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	5049134	4052225	5282426	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	1565868	1617906	2222966	3.3
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2644	2692	7782	
საგადასახადო ვალდებულებები		672	37901	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	525136	102019	52199	3.4
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1030912	931155	120744	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	1500000	1500000	78000	3.6
სულ ვალდებულებები	4624560	4154444	2519592	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	424574	-102219	2762834	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	424574	-102219	2762834	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5049134	4052225	5282426	
სულ მოკლევადიანი აქტივები	4826515	1672088	3074941	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4624560	4154444	2519592	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი _____ მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი ვაინ"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	8541097	6446671	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	8508125	6445603	
- მომსახურების გაწევიდან	32972	1068	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-6508605	-4837911	3.7
საერთო მოგება	2032492	1608760	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.8
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1518632	-1798056	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-9081	-10401	
საპროცენტო შემოსავალი	2673	2543	
საპროცენტო ხარჯი	-61720	-24361	
იჯარის ხარჯი	-132568	-116323	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-109356	-90713	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1828684	-2037311	
საოპერაციო მოგება	203808	-428551	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.9
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	273633	-455569	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	49244	72736	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	526685	-811384	
მოგების გადასახადის ხარჯი		-52941	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	526685	-864325	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	526685	-864325	3.9
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-102219	2762834	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-2000000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	108	-728	3.9
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	424574	-102219	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი ვაინ"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-418034	-1148766
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-89612	-116557
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	131440	123216
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-376206	-1142107
სავალუტო კურსის ეფექტი	-1775	6598
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	535975	1671484
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	157994	535975

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2022 წ.

დირექტორი _____



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი ვაინ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 30 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405130889, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N 12, ნაკვეთი N15/79. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან შპს „შვიდი“ (ს/კ 211371638) - 85% და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი მიხეილ მესხი (პ/ნ 01024021384) - 15%.

კომპანიის დირექტორია მალხაზ ტვილდიანი (პ/ნ 5300100389).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნისა და ღვინის დასამუშავებელი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 25 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი **მსს ფასს**.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა ვებგვერდისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; ვებგვერდის ამორტიზაციისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 20%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

კომპანიის მარაგები 2021 წლის ბოლოს შედგებოდა:

შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი (ძირითადად, იმპორტირებული) საქონელი - დამხმარე მასალები და ინვენტარი მეღვინეობისა და მევენახეობისათვის - 2670707 ლარი;

სარეკლამო მასალები - 1112 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები - 1275 ლარი;

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი - 655 ლარი.

სულ: **2673749 ლარი.**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება არ მომხდარა, რადგან კომპანია მიიჩნევს, რომ მისი ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა 2021 წლის ბოლოს ლიკვიდურია (რეალიზებადია) თვითღირებულებაზე არანაკლებ ფასად.

3.2. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. 2021 წელს, ძირითადი საშუალება არ გაყიდულა, დამატებული იქნა 90385 ლარის ძირითადი საშუალებები. 2021 წლის ბოლოს, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაა 222619 ლარი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 251538 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 161153 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 28918 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 20013 ლარი.

შესაბამისად, სულ 2021 წლის განმავლობაში დარიცხულმა ძირითადი საშუალებების ცვეთამ შეადგინა 8905 ლარი.

3.3. სავაჭრო ვალდებულებები:

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 31 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 16 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე, რაც ჯამში შეადგენდა 1565868 ლარს, მათ შორის:

დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების წინაშე - 116850 ლარი;

დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების წინაშე - 1449018 ლარი (413528.98 ევრო და 4 აშშ დოლარი).

3.4. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

ამ მუხლში ასახულია კომპანიის ვალდებულება დამკვეთებისაგან მიღებულ ავანსებზე ან/და ზედმეტად გადახდილ თანხებზე. ამ ვალდებულებათა ჯამი 2021 წლის ბოლოს შეადგენდა შეადგენდა 525136 ლარს, რომელიც უდიდესი ნაწილი - 524947 ლარი არის დამკვეთების ავანსები. ამ ვალდებულებების მკვეთრი ზრდა წინა წელთან შედარებით (102019 ლარი) გამოიწვია რამდენიმე დამკვეთის მიერ 2021 წლის ბოლოს გადახდილმა მსხვილმა ავანსებმა. ეს თანხები დაბეგრულია დღგ-ით მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რაც გათვალისწინებულია გადასახადების სალდირებულ ნაშთში.

3.5. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

2020-2021 წლებში, კომპანია სარგებლობდა „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სავალუტო სესხებით. 31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე სასესხო დავალიანება „თიბისი ბანკის“ მიმართ შეადგენდა 225722.56 EUR-ს და 77472.80 USD-ს, რაც ლარში გადაანგარიშებით არის 1030912 ლარი (790932 და 239980 ლარი შესაბამისად).

სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენს კომპანიის არსებული და სამომავლო მარაგები, ასევე მისი პარტნიორის - შპს „შვიდი“-ს კუთვნილი 85% წილი შპს „შვიდი ვაინ“-ის კაპიტალში.

3.6. სხვა ვალდებულებები:

როგორც 31.12.2020 წ., ასევე 31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა გასაცემი დივიდენდის ვალდებულება მისი პარტნიორის - შპს „შვიდის“ წინაშე 1500000 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა 2020 წელს, 2018-2019 წლების მოგების განაწილებიდან. ამ ვალდებულების სიდიდე 2021 წელს არ შეცვლილა, რადგან დივიდენდის გაცემა არ მომხდარა. იგივე სახის დავალიანება მეორე პარტნიორის - მიხეილ მესხის მიმართ იმ ნაწილში, რაც შეესაბამება გამოცხადებულ დივიდენდებს (ანუ, იმ მოგებას, რაც განაწილდა), გაცემულია 2020 წელსვე.

3.7. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა:

მელვინეობა-მევენახეობისათვის განკუთვნილი საქონლის (მასალებისა და ინვენტარის) გაყიდვიდან მიღებული - 8508125 ლარი;

ფართის ქვეიჯარის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი - 31641 ლარი.

ფართის ქვეიჯარის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი - 1331 ლარი.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულებამ 6508605 ლარი შეადგინა, რაც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

2021 წელს, კომპანიის ადმინისტრაციულმა და სხვა საოპერაციო ხარჯებმა (გარდა ხელფასების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა) შეადგინა 109356 ლარი, მათ შორის:

ხარჯის დასახელება	თანხა
დამხმარე მასალების დანახარჯები	3508
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	13363
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	1571
მიწოდების სხვა ხარჯები	1684
ელექტროენერგიის ხარჯები	1317
საკანცელარიო ხარჯები	1070
კომპიუტერის ხარჯები	1853
დაცვის ხარჯები	2856
დაზღვევის ხარჯები	2064
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	10527
საკონსულტაციო, სხვადასხვა მომსახურების და აუდიტის ხარჯები	13802
საბანკო ხარჯები	40487
მივლინების ხარჯები	4922
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	3202
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	7130
სულ:	109356.00

3.9. საანგარიშო წლის მოგება/ზარალი, საკუთარი კაპიტალი:

2021 წელს კომპანიის მოგებამ შეადგინა 526685 ლარი, რასაც დაემატა წინა წლების შეცდომის გასწორებიდან 108 ლარი. მოგების გადასახადის ხარჯი კომპანიას არ ჰქონია, რადგან 2021 წელს კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები. მიღებული მოგებით დაიფარა 2020 წლის ბოლოს არსებული დაუფარავი ზარალი 102219 ლარი. შედეგად, 2021 წლის ბოლოს კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 424574 ლარს, რაც მისი მთლიანი საკუთარი კაპიტალის ტოლია, რადგან კომპანიის საწესდებო კაპიტალის

სიდიდე ნულია (ეს დაშვებულია საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით). ასევე ნულოვანი სიდიდისაა საკუთარი კაპიტალის სხვა კომონენტებიც.

3.10. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელს და 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 29 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.